საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ილდეღიზიდთა მონეტა

ილდეღიზიდთა მონეტა, XII– XIII სს. აზერბაიჯანის მმართველი ათაბაგების, ილდეღიზიდების მიერ მოჭრილი არასწორი ფორმისა და სხვადასხვა მასის სპილენძის მონეტა. მის ერთ მხარეს ათაბაგების უშუალო სიუზერენის – ერაყის სელჩუკი სულთნისა და ბაღდადის ხალიფას სახელებია ამოკვეთილი, მეორე მხარეს – თვით ათაბაგის სახელი.

ი. მ. აღმ. საქართველოშიც იყო გავრცელებული. აღმოჩენილია დმანისში, რუსთავში, აგრეთვე XII–XIII სს. განძებში (ლილოს, კრწანისის, თბილისის განჯისკარის, რიყის).

ლიტ.: დ უ ნ დ უ ა გ., ჯ ა ლ ა ღ ა ნ ი ა ი., ქართული ნუმიზმატიკური ლექსიკონი, თბ., 2009; Б о с в о р т К. Э., Мусульманские династии, пер. с англ., М., 1971.

ი. ჯალაღანია